Erasmus+ KA2 აქტივობის საგრანტო ინსტიტუციური განვითარების პროექტი InnoCENS (573965-EPP-1-2016-1-SE-EPPKA2-CBHE-JP) მიზნად ისახავს ინოვაციური კომპეტენციებისა და სამეწარმეო უნარების ამაღლებას საინჟინრო განათლებაში.

პროექტის კოორდინატორია შვედეთის სამეტო ტექნოლოგიური ინსტიტუტი. პროექტში ჩართულნი არიან საქართველოს, სომხეთის, ბელარუსის, ყაზახეთის, ესპანეთის და ფინეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. საქართველოს მხრიდან პროექტში მონაწილეობენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა 4 სასწავლო ვიზიტი პროექტის პარტნიორ უცხოეთის უნივერსიტეტებში ვალენსიაში, სტოკჰოლმში, ტურკუში და მინსკში, სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ სტუ-ს წარმომადგენლები. სასწავლო ვიზიტები ითვალისწინებდა ინოვაციური პედაგოგის მეთოდების გაცნობას, შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებას ინჟინერიაში ინოვაციური კომპეტენციებისა და სამეწარმეო უნარების ხელშეწყობისათვის.

ხანგრძლივობა:
2016 – 2019წწ.

ვებგვერდი: https://gidec.abe.kth.se/InnoCENS/